ხელშეკრულებასახელმწიფო შესყიდვის შესახებ №01-05/110

ქ. ბათუმი 18/12/2019 წელი

ერთის მხრივ,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი, შემდეგში ,,შემსყიდველი", წარმოდგენილი ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ვახტანგ გოგუაძის სახით

და მეორეს მხრივ, შპს ,,ეტალონი ",შემდეგში ,,მიმწოდებელი", წარმოდგენილი დირექტორის თენგიზ ფილიშვილის სახით

გამარტივებული შესყიდვის განხორციელების მიზნით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტის, მე-10 მუხლის 1-4 პუნქტების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. სსიპ ,,შემოსავლების სამსახურის"-ს მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში **NAT190022554** ,,საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 2009 სასაქონლო პოზიციაში კლასიფიცირებული ხილის წვენების (ყურძნის ბადაგის ჩათვლით), ბოსტნეულის წვენების, დაუდუღებელი და სპირტის დანამატების გარეშე, შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე, ლაბორატორიული კვლევა "სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის გამარჯვების შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს შემსყიდველის მიერ წარმოდგენილ ნიმუშებში ოხრატოქსინი A-ს გამოკვლევა (დანაყოფის კოდი - 71900000), შემდეგში ,,შესყიდვის ობიექტი/მომსახურება",ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. მომსახურების გაწევის ვადა: 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ამასთან, თითოეული კვლევის შესრულების ვადა არ უნდა აღემატებოდეს შემსრულებლის მიერ ნიმუშის მოღებიდან 5 (ხუთ) კალენდარულ დღეს.

2. სახელშეკრულებო თანხა, დაფინანსების წყარო

2.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება არის 4 000,00 (ოთხიათასი) ლარი.

2.2. ერთი ნიმუშის გამოკვლევის ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს.

2.3. სახელშეკრულებო თანხა ითვალისწინებს როგორც მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით მიმწოდებლისთვის დადგენილ ყველა გადასახადს.

2.4. დაფინანსების წყარო: შემსყიდველის 2020 წლის საკუთარი შემოსავლები.

3. ანგარიშსწორების წესი

3.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტობრივად გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურის (იმ შეთხვევაში, თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია) დადასტურებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, უნაღდო

ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესრულებული მომსახურება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

4.3. იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სათანადოდ უფლებამოსილი პირები მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებენ შესყიდვის ობიექტის მიღებას, ხოლო თუ გამოვლინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს შესყიდვის ობიექტი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი კვლევის ჩატარებისათვის საჭირო რაოდენობის საკვლევი მასალის/პროდუქტის მიწოდება მიმწოდებლისათვის.

5.2. მხარეებმა მკაცრად უნდა დაიცვან კონფიდენციალურობა, კერძოდ შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ნიმუშის მიწოდება მიმწოდებლისათვის იმგვარად, რომ დაცული იქნეს დამკვეთის ვინაობა, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია არ გადასცეს მესამე პირს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მომსახურების გაწევისას მისთვის მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის კვლევის შედეგები.

5.3. შემსყიდველი უფლებამოსილია:

5.3.1. ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება, ასევე მომსახურების ხარისხის პერიოდული კონტროლი;

5.3.2. მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

5.4. შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

6. დაუძლეველი ძალა

6.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

6.2. დაუძლეველი ძალა ნიშნავს მხარეების კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას წყალდიდობით, ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური მოვლენებით, საომარი მოქმედებებით, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვით, აგრეთვე სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი, მხარეების ნებისაგან

დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

6.3. დაუძლეველი ძალის გამოვლენის შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, დამაბრკოლებელ გარემოებათა დასრულებამდე.

6.4. დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევის მიზეზების შესახებ, ასევე ვალდებულების შესრულების შეუსრულებლობის სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ. თუ მეორე მხარე არ დათანხმდა ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება

7.2. პუნქტის გათვალისწინებით, ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით გაფორმებული შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევებშიც ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეიძლება გაიზარდოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ფარგლებში.

7.4. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

7.5. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.6. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულებისპირობების დარღვევისას

8.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის საქართველოსმოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. მომსახურების საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02%-ის ოდენობით.

8.3. ხელშეკრულების სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა ჯარიმის სახით ერთჯერადად სახელშეკრულებო თანხის 10%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრამდე, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. მხარეები თანმხდებიან, რომ უპირველესად შეთანხმებისა და ურთიერთმოლაპარაკების გზით მოაგვარონ მათ შორის წამოჭრილი ნებისმიერი უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა.

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, თითოეულ მხარეს შეუძლია დავის გადაწყვეტის მიზნით მიმართოს სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. სხვა პირობები

11.1. საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

11.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება შემსყიდველთან, ხოლო მეორე გადაეცემა მიმწოდებელს.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“:

სსიპ - ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი

საიდენტიფიკაციო კოდი: 245645235

ელ. ფოსტა: Samebalab@gmail.com

მის: ქ. ბათუმი, ქვედა სამება
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში: 740347519

ცენტრის უფროსის მ.შ.: ვახტანგ გოგუაძე

„მიმწოდებელი“:

შპს „ეტალონი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 200141612

ელ. ფოსტა: temoexpert@yahoo.com

მის: ქ. თბილისი, ჩარგლის ქ.# 73
სს “საქართველოს ბანკი”
ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა
ა/ა GE73BG0000000116674200

დირექტორი: თენგიზ ფილიშვილი

LEPL Laboratory Research Center

Digitally signed by LEPL Laboratory Research Center
Date: 2019.12.18 11:21:10 +04'00'